პროექტი ხორციელდება
ხელოვნებისა და კულტურათშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდის ეგიდით

ПРОЕКТ ПРОХОДИТ ПОД ЭГИДОЙ
МЕЖДУНАРОДНОГО ФОНДА ИСКУССТВ И МЕЖКУЛЬТУРНОГО ДИАЛОГА

**პროექტის მხარდამჭერი:**
**ПРИ ПОДДЕРЖКЕ:**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
**МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ И ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ГРУЗИИ**

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი
**ТБИЛИССКОГО ЦЕНТРА КУЛЬТУРНЫХ МЕРОПРИЯТИЙ**

PP 2186

**DLA PIPER**

n 8/366

მასპინძელი სასტუმრო
**ПРИНИМАЮЩАЯ ГОСТИНИЦА**

მედია პარტნიორი
**МЕДИА-ПАРТНЕР**


| | |
|---|---|
| მთავარი კონსულტანტები: | ГЛАВНЫЕ КОНСУЛЬТАНТЫ: |
| ანი ლაღიძე, გერმან გურეევი | АНИ ЛАГИДЗЕ, ГЕРМАН ГУРЕЕВ |
| საორგანიზაციო ჯგუფი: | ОРГАНИЗАЦИОННАЯ ГРУППА: |
| მაია თავდგირიძე, ნატალია მინდიაშვილი, | МАЙЯ ТАВДГИРИДЗЕ, НАТАЛЬЯ МИНДИАШВИЛИ, |
| ნაირა ანდღულაძე, ანანო ფალავა | НАИРА АНДГУЛАДЗЕ, АНАНО ПАГАВА |
| კომპიუტერული დიზაინი: | КОМПЬЮТЕРНЫЙ ДИЗАЙН: |
| გეგა პაქსაშვილი | ГЕГА ПАКСАШВИЛИ |
| ფოტოგრაფი: | ФОТОГРАФ: |
| კატერინა კრავცოვა | КАТЕРИНА КРАВЦОВА |
| რედაქტორი: | РЕДАКТОР: |
| ინგა ჯიბუტი | ИНГА ДЖИБУТИ |
| თარგმანი: | ПЕРЕВОД: |
| ანა კერესელიძე | АННА КЕРЕСЕЛИДЗЕ |
| დაბეჭდილია | Lemon Studio-ს მიერ 09.11.2013წ. |


ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის თეატრი

ხელოვნებისა და კულტურათშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდი წარმოგიდგენთ

სანკტ-პეტერბურგის
ბორის ეიფმანის საბალეტო დასი

# ცოდვის მიღმა

ნოემბერი 13, 14 2013 НОЯБРЬ

Eifman Ballet Saint-Petersburg



ТЕАТР РУСТАВЕЛИ

МЕЖДУНАРОДНЫЙ ФОНД ИСКУССТВ И МЕЖКУЛЬТУРНОГО ДИАЛОГА ПРЕДСТАВЛЯЕТ

САНКТ-ПЕТЕРБУРГСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ АКАДЕМИЧЕСКИЙ ТЕАТР БАЛЕТА БОРИСА ЭЙФМАНА

# ПО ТУ СТОРОНУ ГРЕХА

## ცოდვის მიღმა

ბორის ეიფმანის ბალეტი
ფ.მ.დოსტოევსკის რომანის „ძმები კარამაზოვები“-ს მიხედვით
რ.ვაგნერის, მ.პ.მუსორგსკისა და ს.ვ.რახმანინოვის მუსიკაზე
მხატვარი: ვიაჩესლავ ოკუნევი
პრემიერა: 2013 წლის 29 აპრილი

*„ადამიანი საიდუმლოა. ის უნდა გამოიცნო და თუ ამას მთელ ცხოვრებას მოუნდები, არ თქვა, რომ დრო ტყუილად დაკარგე; მე ამ საიდუმლოთი ვარ დაკავებული, ვინაიდან მინდა ვიყო ადამიანი“*, - დოსტოევსკის ეს სიტყვები ყველაზე კარგად ასახავენ ბორის ეიფმანის შემოქმედებით გზას, რომელიც თავის ყველა ნამუშევარში ღრმად იძიებს სულის ყოფის ძალზე რთულ სფეროებს.

ბალეტი „ცოდვის მიღმა“ ფ.მ.დოსტოევსკის რომანის „ძმები კარამაზოვები“-ს ქორეოგრაფისეული ახალი პლასტიკური აღქმა გახდა. რუსული ლიტერატურის უკვდავი ნაწარმოების მიხედვით 1995 წელს დადგმული სპექტაკლი „კარამაზოვები“ ბორის ეიფმანმა კარდინალურად გადაამუშავა, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუტანა. ქორეოგრაფმა ემოციურად და ინტელექტუალურად დატვირთული ბალეტის ფსიქოდრამა შექმნა.

„ცოდვის მიღმა“ ტექნიკური და მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით თანამედროვე სცენური ნაწარმოებია, რომელშიც ავტორს მარადიული „დაწყევლილი“ საკითხები წინა პლანზე გამოაქვს. XXI საუკუნის დასაწყისის ფასეულობების ტოტალური კრიზისის პირობებში, ქორეოგრაფმა ურყევ ზნეობრივ საფუძვლებს მიმართა და შექმნა ბალეტი ღმერთის უარყოფასა და ღმერთის ძიებაზე, ურწმუნოებასა და რწმენაზე, ადამიანის ცოდვის წარმოშობასა და სულის ხსნაზე.

*„რომანი „ძმები კარამაზოვები“ - დოსტოვსკის შემოქმედებითი გზის შეჯამებაა, მშფოთვარე ტიტანური გონების ფილოსოფიური ძიების მწვერვალია. ორი ათეული წელი ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის მსვლელობაზე დაკვირვებისას, ყოველთვის ვრწმუნდებოდი ამ ნაწარმოების აქტუალურობაში, რომელიც მწერლის სულიერ ანდერძად იქცა.*

*სხეულის ენის შესაძლებლობების გაზრდით, როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს შეცნობის საშუალება, ჩვენ წარმოვადგენთ რომანის ძირითადი იდეების ჩვენებურ ხედვას. სპექტაკლი „ცოდვის მიღმა“ არა მარტო აგრძელებს ფსიქოლოგიური ბალეტის ოსტატობის ტრადიციებს, არამედ ცდილობს შეასრულოს სხვა, არანაკლებ რთული შემოქმედებითი ამოცანა - შექმნას პლასტიკური ეკვივალენტი დოსტოევსკის მიერ გენიალურად გახსნილი თემის, გამანადგურებელი ვნებების მტანჯველი ტვირთის, მანკიერი მემკვიდრეობისა.*

*ბალეტი „ცოდვის მიღმა“ - კარამაზოვების ზნეობრივი კატასტროფის სათავეების გამოკვლევის მცდელობაა, მიმართვა ადამიანის ბუნების „ფართო“ სიღრმისეული არსისადმი, ადამიანთა გულების ცხოვრების საიდუმლოებასთან, რომელშიც „ეშმაკი ღმერთს ებრძვის“. პრინციპულად უარი ვთქვი რომანის ზოგიერთი სიუჟეტური ხაზის საბალეტო სცენაზე გადმოტანაზე, ყურადღება გადავიტანე რომანის მთავარი გმირების წინააღმდეგობებით სავსე დაფლეთილ სულებზე.*

*ნაწარმოებში „ძმები კარამაზოვები“ უმნიშვნელოვანესი იდეა დევს: თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ „ყველაფერი ნებადართულია“. თანამედროვე ეპოქა შეიძლება*

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ფოტო: კატერინა კრავცოვა

*ამომწურავად დავახასიათოთ სხვა სიტყვებით: „ღმერთიც არსებობს და ყველაფერი ნებადართულია“. ზუსტად ამიტომ დადგა დრო თავიდან მივუბრუნდეთ იმ კითხვებს, რომლებიც ტანჯავდნენ დოსტოევსკისა და მის პერსონაჟებს. საყოველთაო ბედნიერებისაკენ გზის პოვნა და ასეთი ჰარმონიის ფასი, უკეთურების ძალა ადამიანზე, ჭეშმარიტი რწმენის არსი - ამ თემებზე მსჯელობისას არავის არ შეუძლია ჰქონდეს იმედი აბსოლუტური ჭეშმარიტების გაგებისა მაგრამ, ამაზე ფიქრი ნაბიჯნაბიჯ გვაახლოებს არასრულყოფილ ცვალებად სამყაროში საკუთარი თავის დამკვიდრებასთან.*

*ბორის ეიფმანი*

**მოქმედი პირები:**
ალექსეი კარამაზოვი
ივან კარამაზოვი
დმირტი კარამაზოვი
გრუშენკა
ფიოდორ პავლეს ძე კარამაზოვი



**ბორის ეიფმანი** - რუსეთის ერთ-ერთი თუ არა ერთადერთი ქორეოგრაფია, რომელიც ათწლეულების მანძილზე აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. ალბათ, არც ერთ თანამედროვე მოღვაწეს არ შეუძლია იამაყოს ამგვარი მიღწევებით. მისი შემოქმედება 40-ზე მეტ დადგმას ითვლის. ბორის ეიფმანი არის რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პრესტიჟული პრემიების „ოქროს ნიღაბი“-სა და „ოქროს სოფიტი“-ს, „ღვაწლი სამშობლოს წინაშე“ ორდენის კავალერი (IV, III და II ხარისხი) და ბევრი სხვა საერთაშორისო ჯილდოსა და ტიტულის მფლობელი.

ბორის ეიფმანი ციმბირში დაიბადა. დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორიის ბალეტმაისტერის განყოფილება. 1977 წელს ის საკუთარ დასს ქმნის - ლენინგრადის „ახალი ბალეტი“, დღეს მილიონობით მაყურებელისათვის ცნობილია, როგორც ბორის ეიფმანის სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო აკადემიური ბალეტის თეატრი. „ახალი ბალეტი“-ს კონცეფცია საკმაოდ თამამი იყო: ის შეიქმნა როგორც საავტორო, სარეჟისორო თეატრი, ერთი ქორეოგრაფის ექსპერიმენტული ლაბორატორია.

დასის პირველივე სპექტაკლებმა - „დუხოგოლოსიე“ და „ბუმერანგი“ თეატრის მაყურებელი სიმპათიით განმსჭვალა და რუსეთის საბალეტო ხელოვნებაში ახალ ტენდენციებზე აალაპარაკა კრიტიკოსები. თუმცა, ტრადიციული სკოლის მიმდევრები არ ჩქარობდნენ ახალგაზრდა ქორეოგრაფის ავტორიტეტის აღიარებას. დრამატურგიული მასალისა და მუსიკის შერჩევის, ნოვატორობამ, გამბედაობამ და პლასტიკური გადაწყვეტილებების მიღების სითამამემ „ქორეოგრაფიული დისიდენტის“ რეპუტაცია დიდი ხნით დაუმკვიდრა ბორის ეიფმანს.

1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში ეიფმანის თეატრში რეპერტუარის ფორმირების მისეული მიდგომა ჩამოყალიბდა. აფიშაზე ჩნდება საბალეტო დადგმები, რომელთა დრამატურგიული საფუძველი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებებს ეყრდნობა. ქორეოგრაფი ითვისებს ახალ ჟანრებს. ის ქმნის ქორეოგრაფიული ნახაზის სიმკვეთრით გამორჩეულ სპექტაკლებს, რომლებიც გადმოსცემენ გმირების ვნებათა უკიდურეს ღელვას: ბალეტებია: „დუელი“, „იდიოტი“, „შეშლილი დღე ანუ ფიგაროს ქორწინება“, „ლეგენდა“, „მეთორმეტე ღამე“, „ოსტატი და მარგარიტა“, „მკვლელები“ და სხვა.

განსაკუთრებული პლასტიკური აზროვნების სტილით ეიფმანის დასი დასავლეთის მაყურებელს იპყრობს. ერთ-ერთი მოწინავე საბალეტო კრიტიკოსი ანა კისელგოფი ბორის ეიფმანს მოღვაწე ბალეტმეისტერთა შორის ლიდერს უწოდებს: „საბალეტო სამყარო, რომელიც მთავარი ქორეოგრაფის ძიებაშია, შეუძლია შეწყვიტოს ძებნა. ის ნაპოვნია, ეს ბორის ეიფმანია“.

დღეს ბორის ეიფმანის ბალეტის თეატრი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპის, აზიისა და ავსტრალიის საცეკვაო ხელოვნების მოყვარულთათვის ცნობილია სპექტაკლებით „ჩაიკოვსკი“, „მე - დონ კიხოტი“, „წითელი ჟიზელი“, „რუსული ჰამლეტი“, „ანა კარენინა“, „თოლია“, „ონეგინი“, „როდენი“, „ცოდვის მილმა“.

ბორის ეიფმანი ისწრაფვის მაყურებელი ადამიანის ვნებათა განუსაზღვრელ სამყაროში ჩაიყოლიოს, მაყურებელთან ცოცხალი სულიერი კავშირები დაამყაროს, პლასტიკური ენის დინამიკურობითა და გამომსახველობით გააოგნოს - ამ ყველაფერმა განაპირობა ის წარმატება, რომელიც მსოფლიოს წამყვან სცენებზე უკვე ათწლეულებია თეატრის წარმოდგენების თანამგზავრია.

ეიფმანი ქორეოგრაფ-ფილოსოფოსია. მას თანამედროვეობის პრობლემები და შემოქმედების საიდუმლო აღელვებს. ხელოვანი მაყურებელს გულახდილად ესაუბრება ადამიანის ყოფის ყველაზე რთულ და ამაღელვებელ მხარეებზე და ჟანრს, რომელშიც მუშაობს „ფსიქოლოგიურ ბალეტით“ განსაზღვრავს. „მთელი ჩემი მოღვაწეობის მანძილზე საბალეტო თეატრის შესაძლებლობების საზღვრების გაფართოებას ვემსახურები და პირველ რიგში სხეულის ენას ვეძებ, რომელსაც სულის ცხოვრების გამოხატვა შეუძლია. ჩემთვის, ცეკვა ფიზიკური კი არა, სულიერი პროცესია“ - აღნიშნავს ბორის ეიფმანი.

თეატრის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი 2011 წელს დაიწყო, როდესაც სანკტ-პეტერბურგის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ბორის ეიფმანის ცეკვის აკადემიის მშენებლობის შესახებ, რომლის ინიციატორი თვით ქორეოგრაფი იყო. 2013 წლის სექტემბერში აკადემიაში პირველი სასწავლო წელი დაიწყო.

უახლოეს მომავალში სანკტ-პეტერბურგში ბორის ეიფმანის სახელობის ცეკვის სასახლის გახსნა იგეგმება, რომელიც საცეკვაო ხელოვნების მსოფლიო ცენტრად უნდა იქცეს.

დღეისათვის ბორის ეიფმანისა და მისი დასის მთავარი შემოქმედებითი მისიაა თანამედროვე რუსეთის ორიგინალური საბალეტო რეპერტუარის შექმნა სამამულო ფსიქოლოგიური თეატრის ტრადიციების საფუძველზე და XXI საუკუნის ქორეოგრაფიული ხელოვნების ახალი ფორმების ძიება და განვითარება.

## მოკლე შინაარსი

### პირველი მოქმედება

დმიტრი, ივანე და ალიოშა, მიუხედავად მათ შორის დიდი განსხვავებისა, უხილავი ძაფებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი: მათ აერთიანებთ „მყრალი, ცოდვილი“ მამის ფიოდორ პავლეს ძე კარამაზოვის სისხლი. ამაოა ბერ ალიოშას მცდელობა გაწყვიტოს ურთიერთდაპირისპირებული ვნებების კვანძი. ის ხედავს მამისა და დმიტრის დაუნდობელ დაპირისპირებას გრუშენკას გამო, მამის დაუსრულებელ ღრეობებს, რომელიც მზად არის ყველა გახვიოს ავხორცობის ცოდვაში.

სკანდალები სიმშვიდის იშვიათი წუთებით იცვლება, რომლის დროსაც ძმების გულებს დედის განმგმირავი სახე ავსებს, მაგრამ მალევე დაპირისპირება ისევ ახალი ძალით ჩაღდება. ალიოშას არათუ არ შეუძლია თავისი ახლობლების დახმარება, იგი სულ უფრო და უფრო მეტად პოულობს თავისთავში „კარამაზოვების“ საძულველ თვისებებს. მამისა და დმიტრის ჩხუბში გრუშენკას გამო მთელი „ოჯახია“ ჩართული. ფიოდორ პავლეს ძე მოკლეს... დმიტრი ეჭვმიტანილია ამ დანაშაულის ჩადენაში.

### მეორე მოქმედება

ივანე და ალიოშა დაუმთავრებლად კამათობენ ცხოვრების არსზე, ადამიანის სულზე. კამათი ხორცს ისხამს ივანეს მიერ მოგონილ ლეგენდაში დიდ ინკვიზიტორსა და ქრისტეზე, რომელიც მეორედ მოვიდა ამ ცოდვილ მიწაზე. რა არის ადამიანისთვის კეთილდღეობა - მაძღარი მონური მორჩილება, როგორც ამას ინკვიზიტორი ივანე ამტკიცებს, თუ გულისა და სულის თავისუფლება, რომელსაც ქრისტე-ალექსეი იცავს?

გრუშენკა, თავდადებისა და განწმენდის გრძნობით შეპყრობილი, დმიტრისთან ციხეში მიდის. უდანაშაულოდ მსჯავრდებული მძიმედ განიცდის სატრფოსთან განშორებას.

ივანეს სინდისი ქენჯნის: ის თავისთავს ადანაშაულებს მამის მოკვლის სურვილში. რეალობა და ფანტაზია მის გონებაში ერთმანეთში ირევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე და ალექსეი დმიტრის ციხეში ნახულობენ. აქ, ციხეში, ძმები ნათესაურ სიახლოვეს იგრძნობენ.

დმიტრის გრუშენკასთან ჯვრისწერა ესიზმრება, მაგრამ სატრფოს გულში ვერ იხუტებს - მას ელვიძება.

ალექსეის არ შეუძლია ადამიანთა ტანჯვის ყურება და მათ მიმართ სიყვარულის გრძნობით ალსავსე „მკვდარი სახლის“ ტყვეებს ათავისუფლებს. ყველაფრის ნებადართულობით შეპყრობილი ბრბო თავის გზაზე ყველაფერს ულმობლად ანადგურებს.

„ოჯახი“-ს ბოლო შემზარავია: ფიოდორ პავლეს ძე მოკლულია, დმიტრი ციხეშია, ივანე გაგიჟდა, ალექსეის ბრალი მიუძღვის უამრავი უდანაშაულო მსხვერპლის მიმართ... მიუხედავად ამისა, როგორც არ უნდა დაეცეს ცოდვილი ადამიანი, მას შეუძლია დაადგეს მონანიების გზას...

## მოქმედი პირები და შემსრულებლები:

| | |
|---|---|
| ალექსეი კარამაზოვი | ნიკოლაი რადიუში |
| | დმიტრი ფიშერი<br>„ოქროს სოფიტი“-ს პრემიის ლაურეატი |
| ივანე კარამაზოვი | სერგეი ვოლობუევი |
| | დენის კლიმჩუკი |
| | ოლეგ მარკოვი |
| დმიტრი კარამაზოვი | ოლეგ გაბიშევი<br>„ოქროს სოფიტი“-ს პრემიის ლაურეატი<br>„ოქროს ნილაბი“-ს პრემიის ლაურეატი |
| | იგორ სუბოტინი |
| გრუშენკა | მარია აბაშოვა<br>საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი<br>„ოქროს სოფიტი“-ს პრემიის ლაურეატი<br>„ოქროს ნილაბი“-ს პრემიის ლაურეატი |
| | ლუბოვ ანდრეევა |
| | ნინა ზმიევეცი<br>საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი<br>„ოქროს სოფიტი“-ს პრემიის ლაურეატი |
| ფიოდორ პავლეს ძე კარამაზოვი | იგორ პოლიაკოვი |
| | ოლეგ მარკოვი |

## თეატრის დასი

### სოლისტები:

მარია აბაშოვა, ლიუბოვ ანდრეევა, ნინა ზმიევეცი, ანა მენდაკევიჩი, ნატალია პოვოროზნიუკი, ანასტასია სიტნიკოვა

სერგეი ვოლობუევი, ოლეგ გაბიშევი, ევგენი გრიბი, დენის კლიმუკი, ოლეგ მარკოვი, ნიკოლაი რადიუში, იგორ სუბოტინი, დმიტრი ფიშერი

### კორდებალეტი:

ევგენია არუთუნიანი, ალინა ბაკალოვა, იაროსლავნა ბრიკოვა, ვალენტინა ვასილიევა, ევგენია ვოლობუევა, პოლინა გორბუნოვა, იანა გორდიენკო, პოლინა გუტენკო, ეკატერინა ჟიგალოვა, ანასტასია ზაბერეჟნაია, დიანა ზალევსკაია, სოფია ელისტრატოვა, ალექსანდრა კუზმიჩი, ეკატერინა მიხეევა, აიჟან მუკატოვა, ანნა ოსტაპენკო, ნატალია პოზდნიაკოვა, ანჟელა პროხოროვა, ალინა სვინტინსკაია, ირინა სილანტიევა, ირინა სპირიდონოვა, ოლგა ტელიუპა, ეკატერინა ტროფიმოვა, ქსენია იასკოვეცი

სერგეი ბისეროვი, ანატოლი გრუძინსკი, ვასილი დაუტოვი, კირილ ეფრემოვი, მიხაილ ივანკოვი, ალექსანდრ ივანოვი, არტემ კუზმიჩი, ვლადისლავ კუზმიჩი, ანტონ ლაბუნსკასი, დმიტრი ლუნევი, რომან ნესტეროვი, ანტონ პესტეხინი, არტურ პეტროვი, იგორ პოლიაკოვი, პაველ პოპილეცკი, დმიტრი ცავინოვი, რომან სოლოვიოვი, დანიილ სტარკოვი, რაფალ ტანდეკი, ელდარ იანგიროვი, ვიკენტი იასკოვეცი



ფოტო: კატერინა კრავცოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ПО ТУ СТОРОНУ ГРЕХА**

Балет Бориса Эйфмана
по роману Ф. М. Достоевского «Братья Карамазовы»
на музыку Р. Вагнера, М. П. Мусоргского, С. В. Рахманинова
Художник: Вячеслав Окунев
Премьера: 29 апреля 2013 г.

«Человек есть тайна. Ее надо разгадать, и ежели будешь ее разгадывать всю жизнь, то не говори, что потерял время; я занимаюсь этой тайной, ибо хочу быть человеком», - эти слова Достоевского как нельзя лучше подходят для описания творческого пути Бориса Эйфмана, в каждой своей работе пытливо исследующего наиболее сложные сферы бытия духа.

Балет «По ту сторону греха» стал новым пластическим прочтением хореографом романа Ф.М. Достоевского «Братья Карамазовы». Кардинально переработав свой собственный спектакль «Карамазовы» 1995 года, также поставленный по бессмертному произведению русской литературы и снискавший всемирное признание, Борис Эйфман создал эмоционально и интеллектуально насыщенную балетную психодраму.

«По ту сторону греха» - современное в техническом и художественно-выразительном отношениях сценическое произведение, поднимающее извечные «проклятые» вопросы. В условиях тотального ценностного кризиса начала XXI века хореограф обратился к незыблемым нравственным основам и сочинил балет о богоборчестве и богоискательстве, безверии и вере, природе человеческой греховности и духовном спасении.

*«Роман «Братья Карамазовы» - итог творческого пути Достоевского, вершина философских поисков титанического мятущегося ума. На протяжении двух десятилетий, наблюдая за ходом новейшей истории нашей страны, я не переставал убеждаться в вечной актуальности этого произведения, ставшего духовным завещанием писателя.*

*Расширяя возможности языка тела как средства познания внутреннего мира человека, мы представляем свое видение основных идей романа. Спектакль «По ту сторону греха» не только развивает традиции психологического балетного искусства, но и стремится выполнить другую, не менее сложную творческую задачу – создать пластический эквивалент гениально раскрытой Достоевским темы мучительного бремени разрушительных страстей, дурной порочной наследственности.*

*Балет «По ту сторону греха» - попытка исследования истоков нравственной катастрофы Карамазовых, обращение к глубинной сущности «широкой» человеческой натуры, к тайнам жизни людских сердец, где «дьявол с Богом борется». Принципиально отказавшись от переноса на балетную сцену ряда сюжетных линий романа, я сосредоточился на погружении в раздираемые противоречиями души главных героев.*

*В «Братьях Карамазовых» звучит важнейшая идея: если Бога нет, то «все дозволено». Современная эпоха могла бы быть исчерпывающе описана с помощью иных слов: «И Бог есть, и все дозволено». Именно поэтому настало время вновь обратиться к вопросам, терзавшим Достоевского и его персонажей. Поиск путей к всеобщему счастью и цена такой гармонии, власть порока над человеком, природа подлинной веры – размышляя на эти темы, никто не вправе надеяться на постижение абсолютной истины. Но, затрагивая их, мы шаг за шагом приближаемся к обретению самих себя в несовершенном меняющемся мире».*

*Борис Эйфман*



ФОТО: КАТЕРИНА КРАВЦОВА

**ДЕЙСТВУЮЩИЕ ЛИЦА:**

Алексей Карамазов
Иван Карамазов
Дмитрий Карамазов
Грушенька
Федор Павлович Карамазов

ეროვნული ბიბლიოთეკა



Борис Эйфман - один из немногих российских хореографов, если не единственный, продолжающих активную творческую работу на протяжении десятилетий. Пожалуй, никто из современников не может гордиться подобными достижениями. В творческом списке Бориса Эйфмана - более 40 постановок. Он является народным артистом РФ, лауреатом Государственной премии РФ, престижных премий «Золотая Маска» и «Золотой софит», кавалером ордена «За заслуги перед Отечеством» IV, III и II степеней, а также обладателем многих международных наград и титулов.

Борис Эйфман родился в Сибири, окончил балетмейстерское отделение Ленинградской консерватории. В 1977 году он создает собственную труппу - Ленинградский «Новый балет», сегодня известную миллионам зрителей как Санкт-Петербургский государственный академический театр балета Бориса Эйфмана. Концепция «Нового балета» была достаточно смелой: он создавался как авторский, режиссерский театр, экспериментальная лаборатория одного хореографа.

Уже первые спектакли труппы – «Двухголосие» и «Бумеранг» – принесли театру зрительский успех и заставили критиков говорить о новых тенденциях в российском балетном искусстве. Однако последователи традиционной школы не спешили признавать авторитет молодого хореографа. Новаторство в выборе драматургического материала и музыки, смелость пластических решений надолго закрепили за Борисом Эйфманом репутацию «хореографического диссидента».

В период конца 1970-х - начала 1980-х годов в театре Эйфмана вырабатывается собственный подход к формированию репертуара. В афише появляется всё больше балетов, драматургической основой которых становятся произведения мировой классической литературы. Хореограф осваивает новые жанры. Он создает спектакли, отличающиеся остротой хореографического рисунка, который передавал предельный накал страстей героев: балеты «Поединок», «Идиот», «Безумный день, или Женитьба Фигаро», «Легенда», «Двенадцатая ночь», «Мастер и Маргарита», «Убийцы» и другие.

Труппа с особым пластическим мышлением покоряет западную публику. Один из ведущих балетных критиков США Анна Киссельгофф называет Бориса Эйфмана лидером среди ныне живущих балетмейстеров: «Балетный мир, находящийся в поиске главного хореографа, может прекратить поиск. Он найден, и это – Борис Эйфман».

Сегодня Театр балета Бориса Эйфмана известен любителям танцевального искусства Северной и Южной Америки, Европы, Азии, Австралии своими спектаклями «Чайковский», «Я - Дон Кихот», «Красная Жизель», «Русский Гамлет», «Анна Каренина», «Чайка», «Онегин», «Роден», «По ту сторону греха».

Стремление Бориса Эйфмана вовлечь своих зрителей в неисчерпаемый мир человеческих страстей, установить с публикой живые духовные связи, ошеломить ее яркостью и динамизмом пластического языка - все это определило тот успех, который на протяжении уже нескольких десятилетий сопровождает выступления театра на ведущих сценических площадках мира

Эйфман — хореограф-философ. Его волнуют проблемы современности и тайны творчества. Художник откровенно говорит со зрителем о самых сложных и волнующих сторонах человеческого бытия, определяя жанр, в котором он работает, как «психологический балет». «Всю свою творческую жизнь я занимаюсь расширением границ возможностей балетного театра и, в первую очередь, - поиском языка тела, способного выразить жизнь духа. Для меня танец – это не физический процесс, а духовный», - отмечает Борис Эйфман.

Важный этап в жизни театра начался в 2011 году, когда Правительством Санкт-Петербурга было принято решение о начале строительства Академии танца Бориса Эйфмана, инициатором создания которой выступил хореограф. В сентябре 2013 года Академия начала свой первый учебный год.

Также в ближайшем будущем в Санкт-Петербурге должен появиться Дворец танца Бориса Эйфмана, который призван стать одним из мировых центров танцевальных искусств.

Сегодня создание оригинального балетного репертуара современной России на базе традиций отечественного психологического театра, поиск и развитие новых форм хореографического искусства XXI века – основные составляющие творческой миссии Бориса Эйфмана и его труппы.

## КРАТКОЕ СОДЕРЖАНИЕ

### АКТ ПЕРВЫЙ

Дмитрий, Иван и Алеша, несмотря на бездну различий, связаны друг с другом невидимыми нитями: их объединяет «смрадная, греховная» кровь отца, Федора Павловича Карамазова. Тщетны попытки инока Алеши развязать узел схлестнувшихся страстей. Он видит ожесточенное соперничество отца и Дмитрия из-за Грушеньки, бесконечные пьяные оргии Федора Павловича, готового всех опутать грехом сладострастия.

Череда скандалов сменяется редкими минутами умиротворения, во время которых сердца братьев наполняет пронзительный образ матери, но затем вражда разгорается с новой силой. Алеша не только не в состоянии помочь своим близким, он сам все больше обнаруживает в себе ненавистные черты «карамазовщины».

В драку отца и Дмитрия из-за Грушеньки вовлечена вся «семейка». Федор Павлович убит... В преступлении обвинен Дмитрий.

### АКТ ВТОРОЙ

Иван и Алеша ведут бесконечный спор о сути бытия, о душе человеческой. Спор материализуется в образы сочиненной Иваном легенды о Великом Инквизиторе и Христе, вновь пришедшем на грешную землю. Что есть благо для людей – сытая рабская покорность, как утверждает Инквизитор Иван, или же свобода сердца и духа, которую отстаивает Христос-Алексей?

Грушенька, охваченная жертвенным порывом и полная стремления к очищению, приходит в тюрьму к Дмитрию. Невинно осужденный, он тяжело переживает разлуку с возлюбленной.

Муки совести терзают Ивана: он винит себя в желании убить отца. Реальное и фантастическое смешиваются в его сознании.

Иван и Алексей навещают Дмитрия. Здесь, в тюрьме, братья познают родственную близость.

Дмитрию снится венчание с Грушенькой, но не заключить ее в объятия – наступает безжалостное пробуждение.

Алексей не в силах видеть человеческие страдания и, ведомый любовью к людям, выпускает узников «мертвого дома» на свободу. Опьяненная ощущением вседозволенности, толпа яростно сокрушает все на своем пути.

Страшен финал «семейки»: убит Федор Павлович, Дмитрий в заточении, Иван безумен, Алексей повинен в бесчисленных невинных жертвах... И все-таки, как бы ни пал грешный человек, у него есть возможность встать на путь искупления...

## ДЕЙСТВУЮЩИЕ ЛИЦА И ИСПОЛНИТЕЛИ:

| | |
|---|---|
| Алексей Карамазов | Николай Радюш |
| | *Лауреат премии «Золотой Софит»*<br>Дмитрий Фишер |
| Иван Карамазов | Сергей Волобуев |
| | Денис Климук |
| | Олег Марков |
| Дмитрий Карамазов | *Лауреат премии «Золотой Софит»*<br>*Лауреат премии «Золотая Маска»*<br>Олег Габышев |
| | Игорь Субботин |
| Грушенька | *Лауреат Международных конкурсов*<br>*Лауреат премии «Золотая Маска»*<br>*Лауреат премии «Золотой Софит»*<br>Мария Абашова |
| | Любовь Андреева |
| | *Лауреат Международных конкурсов*<br>*Лауреат премии «Золотой Софит»*<br>Нина Змиевец |
| Федор Павлович Карамазов | Игорь Поляков |
| | Олег Марков |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ТРУППА ТЕАТРА

### СОЛИСТЫ:

Мария Абашова, Любовь Андреева, Нина Змиевец, Анна Мендакевич, Наталья Поворознюк, Анастасия Ситникова

Сергей Волобуев, Олег Габышев, Евгений Гриб, Денис Климук, Олег Марков, Николай Радюш, Игорь Субботин, Дмитрий Фишер

### КОРДЕБАЛЕТ:

Евгения Арутюнян, Алина Бакалова, Ярославна Брыкова, Валентина Васильева, Евгения Волобуева, Полина Горбунова, Яна Гордиенко, Полина Гутенко, Екатерина Жигалова, Анастасия Забережная, Диана Залевская, Софья Елистратова, Александра Кузьмич, Екатерина Михеева, Айжан Мукатова, Анна Остапенко, Наталья Позднякова, Анжела Прохорова, Алина Свинтинская, Ирина Силантьева, Ирина Спиридонова, Ольга Телюпа, Екатерина Трофимова, Ксения Ясковец

Сергей Бисеров, Анатолий Грудзинский, Василь Даутов, Кирилл Ефремов, Михаил Иванков, Александр Иванов, Артем Кузьмич, Владислав Кузьмич, Антон Лабунскас, Дмитрий Лунев, Роман Нестеров, Антон Пестехин, Артур Петров, Игорь Поляков, Павел Попилецки, Дмитрий Савинов, Роман Соловьев, Даниил Старков, Рафал Тандек, Эльдар Янгиров, Викентий Ясковец



ФОТО: КАТЕРИНА КРАВЦОВА

„საბალეტო სამყარო, რომელიც მთავარი ქორეოგრაფის ძიებაშია, შეუძლია შეწყვიტოს ძებნა. ის ნაპოვნია, ეს ბორის ეიფმანია“

Anna Kisselgoff, The New York Times

„უდავოა, რომ ქორეოგრაფი ბორის ეიფმანი გასაოცარი თეატრალური ჯადოქარია... ალბათ, ერთადერთი რაშიც შეიძლება ეჭვი შევიტანოთ - არის თუ არა იგი  XX საუკუნის უკანასკნელი, წამყვანი ქორეოგრაფი, თუ XXI საუკუნის პირველი ქორეოგრაფი.

Clive Barnes, New York Post

„ბორის ეიფმანი, უდავოდ, რუსეთის ყველაზე საინტერესო ქორეოგრაფია. მას ახასიათებს, როგორც პიროვნული მიზიდულობა, ასევე ახლისადმი ძიების მუდმივი სწრაფვა“.

Le Figaro

„ყველა ქორეოგრაფს შორის, რომლებიც წამყვანი თეატრებისთვის დგამენ სიუჟეტურ სპექტაკლებს, რუსი რომანტიკოსი ბორის ეიფმანი ერთადერთია, რომელიც XXI საუკუნეს სრულად შეესაბამება... ეიფმანი ეპოქას უსწრებს“

Lewis Segal, Los Angeles Times

„ცხოვრების ურთულესი კოლიზიები და ფილოსოფიური პრობლემები ეიფმანს შეუძლია გადაწყვიტოს პლასტიკისა და ცეკვის საშუალებით, სულისშემკვრელი დინამიკითა და „მკვდარი“ სტატიკური პაუზებით“.

Игорь Ступников,
«Санкт-Петербургские ведомости»

„ბორის ეიფმანი ფენომენია. ქორეოგრაფი, რომელიც სიამოვნებით სძულთ ცინიკურ და ჯიუტ საბალეტო კრიტიკოსებს და რომელსაც უსაზღვროდ თაყვანს სცემს  აუდიტორია“.

Paula Citron, The Globe and Mail

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*«Балетный мир, находящийся в поиске главного хореографа, может прекратить поиск. Он найден, и это – Борис Эйфман».*

**Anna Kisselgoff, The New York Times**

*«Теперь нет никаких сомнений в том, что хореограф Борис Эйфман – удивительный театральный волшебник... Пожалуй, единственное, в чем можно еще сомневаться, это является ли он последним ведущим хореографом XX века или первым хореографом века XXI-го».*

**Clive Barnes, New York Post**

*«Борис Эйфман, вне всякого сомнения, – самый интересный российский хореограф. Ему присущ как личностный магнетизм, так и постоянная тяга к поискам нового».*

**Le Figaro**

*«Из всех хореографов, ставящих сюжетные спектакли для ведущих театров, российский романтик Борис Эйфман, в сущности, единственный, кто полностью соответствует XXI веку... Эйфман опережает эпоху».*

**Lewis Segal, Los Angeles Times**

*«Самые сложные жизненные коллизии и философские проблемы Эйфман умеет разрешить с помощью пластики и танца, захватывающей дух динамики и «мертвых» статических пауз».*

**Игорь Ступников,**
**«Санкт-Петербургские ведомости»**

*«Борис Эйфман – феномен. Это хореограф, которого любят ненавидеть циничные и упрямые балетные критики и которого бесконечно обожает аудитория».*

**Paula Citron, The Globe and Mail**